საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

საქართველო, ქ. თბილისი
აკაკი წერეთლისგამზირი №142

"11" ივნისი 2014 წელი
№25 §1

გამგეობის გადაწყვეტილება

ერთიანი სანოტარო ფირნიშების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული შპს შპს „ფავორიტ ედვერთისმენთსა“ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას შორის მიმდინარე წლის 9 ივნისს დადებული ხელშეკრულება სანოტარო ბიუროების აბრების დამზადების თაობაზე, ღირებულებით არაუმეტეს 100 000 ლარისა.

2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტისა და ნოტარიუსთა პალატის გამგეობის 2014 წლის 2 მაისის #18 §7 გადაწყვეტილების შესაბამისად, სანოტარო ბიუროებზე განთავსებულ იქნეს მხოლოდ ერთიანი სანოტარო ფირნიშები (დანართი #1, დანართი #2, დანართი #3).

3. ამ დადგენილების მეორე პუნქტში მითითებულ ერთიან სანოტარო ფირნიშზე (აბრაზე) განთავსდეს დამცავი სტიკერი ნუმერაციით.

4. ერთიან სანოტარო ფირნიშებზე დამცავი სტიკერის გაცემა და შესაბამისი რეესტრის წარმოება დაევალოს ნოტარიუსთა პალატის ლოჯისტიკის სამსახურს.

ნინო ხოფერია
გამგეობის თავმჯდომარე

ხელშეკრულება

(ეტაპობრივი სამუშაოების შესრულების თაობაზე)

ქ. თბილისი **09** ივნისი **2014** წ.

ერთის მხრივ **სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“** (შემდგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი **გამგეობის თავმჯდომარის წინო ხოფერიას** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ფავორიტ ედვერთისინგით“** (მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50) (შემდგომში – „შემსრულებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ხუბულიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის სამუშაოების შესრულება - საქართველოს მასშტაბით მოქმედი სანოტარო ბიუროებისათვის ფირნიშების (ქართულად და ინგლისურად წარწერით „სანოტარო ბიურო“/“NOTARY BUREAU“) დამზადება, (დანართი #1, დანართი #2) და ფირნიშებისათვის მისაკრავი ლოგოს - სტიკერის დამზადება, მონტაჟი და მასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი პროცედურის განხორციელება, მათ შორის, შესაბამისი ორგანიზაციებისგან საჭირო ნებართვების მიღება ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე ეტაპობრივად მიღებული შეკვეთების საფუძველზე.

1.2 ფირნიში სტანდარტულად წარმოდგენილია ლაით ბოქსის (შემდგომში „ლაით ბოქსი“) სახით, კერძოდ, პირველ პუნქტში მითითებული ფირნიში შეიცავს სპეციალურ სანათ მოწყობილობას, რომელიც დღე-ღამის ბნელ პერიოდში მისი განათების საშუალებას იძლევა (დანართი #1).

1.3 იმ შემთხვევაში, თუ ლაით ბოქსის განთავსება ვერ ხორციელდება ობიექტური მიზეზების გამო, დამკვეთთან შეთანხმებით განხორციელდება სხვა სახის ფირნიშის დამზადება/მონტაჟი (დანართი #2).

1.4 ფირნიშებისთვის მისაკრავი ლოგო - სტიკერი (დანართი #3).

2 ხელშეკრულების ფასი

2.1 სამუშაოების ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 ხელშეკრულების სავარაუდო საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 100 000 (ასიათასი) ლარს. რაც მოიცავს არაუმეტეს 300 ცალი ფირნიშის დამზადებას, კერძოდ:

- ერთი ცალი ლაით ბოქსის ფასია 270 (ორასსამოცდაათი) ლარი, ჯამში – 81 000 (ოთხმოცდაერთი ათასი) ლარი;
- ერთი ცალი კედელზე მისაკრავი ფირნიშის ფასია 30 ლარი, რომელიც დამზადდება იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სანოტარო ბიუროსთვის ვერ იქნება მიღებული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისგან თანხმობა ან ვერ განხორციელდება ლაით ბოქსის მონტაჟი;
- ერთი ცალი დამცავი სტიკერის ფასია 3 ლარი, ჯამში - 900 (ცხრაასი) ლარი;
- ერთი ცალი მანათობელი ფირნიშის მონტაჟის ღირებულებაა 30 (ოცდაათი) ლარი, ჯამში - 9000 (ცხრაათასი) ლარი;
- რეგიონებში მივლინება/ტრანსპორტირება - ჯამში 9100 ლარი.

შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს კონკრეტულ რეგიონში განსახორციელებელი სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ სამივლინებო ხარჯებს ყოველი მივლინების შემდგომ.

2.3 თუ ამავე პუნქტის 2.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური თანხის ღირებულების სამუშაო არ განხორციელდა ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დამკვეთი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, განახორციელოს დამატებითი შეკვეთები მითითებული თანხის ოდენობის შეცსებამდე.

2.4 თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე უკვე განხორციელდა 2.2. ქვეპუნქტში მითითებული თანხის სრულად გახარჯვა, დამკვეთს, უფლება აქვს, 12.3. ქვეპუნქტის მოთხოვნის დაცვით განახორციელოს დამატებითი შეკვეთები.

3 ხელშეკრულების საგნის ხარისხი და გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მოსმახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დაკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2 თუკი სამუშაოების შესრულებისას და/ან სანოტარო ბიუროს ფირნიშის მონტაჟის შემდგომ აღმოჩნდა რაიმე სახის ნაკლი, შემსრულებელი ვალდებულია, დამკვეთის მიერ სათანადო შეტყობინების საფუძველზე დაუყოვნებლივ აღმოფხვრას წარმოშობილი ნაკლი საკუთარი ხარჯებით, გარანტია მოქმედებს კონკრეტული აბრის მონტაჟიდან 1 წლის განმავლობაში თავისი ხარჯებით.

3.3 საგარანტიო პერიოდის მანძილზე თუ აღმოაჩნდა ნაკლი შესრულებულ სამუშაოს და/ან ბუნებრივი მოვლენების (წვიმა, მზე, ქარი, თოვლი, სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა...) ზემოქმედებით თუ დაზიანდა სანოტარო ბიუროს ფირნიში იმგვარად, რომ შეიცვალა მისი ვიზუალური და ფუნქციური დანიშნულება, შემსრულებელი ვალდებულია ამ პუნქტის 3.2 ქვეპუნქტის თანახმად უზრუნველყოს მისი შეკეთება გონივრულ ვადებში. შეკეთების ვადის შეთანხმება ხორციელდება დამკვეთთან წინასწარ.

4 სამუშაოების შესრულების ვადები და პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების საერთო ვადაა 90 კალენდარული დღე.

4.2 ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე დამკვეთი უკავშირდება შემსრულებელს და ეტაპობრივად უკვეთავს ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოებს (ზეპირი ან წერილობითი ფორმით, მათ შორის ელექტრონული საშუალებით) კონკრეტული რეგიონების/სანოტარო ბიუროების მისამართის მითითებით, ხოლო, შემსრულებელი ვალდებულია შეკვეთილი მომსახურება გაუწიოს დამკვეთს შეკვეთით შეთანხმებულ მისამართებზე და დროში. ამასთან, კონკრეტული სანოტარო ბიუროს ფირნიშის მონტაჟისას ამავე სანოტარო ბიუროს ფართის მფლობელი ნოტარიუსისაგან გარკვეული მითითებების მიღების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს და იხელმძღვანელოს მხოლოდ დამკვეთის მითითებით.

4.3 დამკვეთის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ პროცესებში თანამშრომლობს და დამკვეთის (სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“) ლეგალისტიკის სამსახური ან მის მიერ განსაზღვრული კონკრეტული პირი.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 დამკვეთი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პროცესში და/ან მას შემდეგ განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესრულების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან.

11.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან უზუსტობის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ აცნობებს შემსრულებელს წერილობითი ან ზეპირი ფორმით, ხოლო შემსრულებელი თუ ვერ უზრუნველყოფს გამოვლენილი ნაკლისა და უზუსტობის გამოსწორებას, შეკვეთით გათვალისწინებული საფასური შემცირდება ნაკლოვანი მომსახურების ღირებულების შესაბამისად. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუკი შემსრულებელს უკვე მიღებული აქვს შესაბამისი ნაკლიანი სამუშაოს ანაზღაურება, იგი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში უკან დაუბრუნოს დამკვეთს კონკრეტული ფირნიშის მონტაჟისათვის გადახდილი თანხა სრულად უნდაღდო ანგარიშსწორების გზით.

12 სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13 მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი“
სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“
სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა GE35BG0000000339738800
ბანკის კოდი BAGAGE22
ს/კოდი 203840656
გამგეობის თავმჯდომარე
ნინო ხოფერია

„შემსრულებელი“
შპს „ფავორიტ ედვერთისმენთ“
სს „ბანკი ქართუ“
ა/ა GE21CR0000000013623602
ბანკის კოდი CRTUGE22
ს/კოდი 404416128
დირექტორი
ირაკლი ხუხულია

02 მარ. 2014წ.
N 18547.

7. მოისმინეს: ლალი გზირიშვილმა გამგეობის წევრებს შესთავაზა ემსჯელათ ნოტარიუსთა სანოტარო ბიუროებისათვის აბრების დამზადების საკითხის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლალი გზირიშვილმა გამგეობის წევრებს შესთავაზა ემსჯელათ ერთიანი სანოტარო ფირნიშის (აბრების) შერჩევისა და დამზადების საკითხის თაობაზე. ლ. გზირიშვილმა აღნიშნა, რომ პალატის ლოჯისტიკის სამსახურის მიერ წინასწარ მოძიებული ინფორმაციით, მოძიებულია სარეკლამო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს სარეკლამო აბრების დამზადებასაც და მათზე ინდივიდუალური ნებართვის მიღებას მერიის არქიტექტურის სამსახურებიდან. ამასთან, აბრების მონტაჟსაც განახორციელებს აღნიშნული ფირმა. გამგეობის წევრების მეორ გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილი იქნება ყველა ნოტარიუსს საქართველოს მასშტაბით დაუმზადდეს ერთიანი ნიმუშის აბრები, ვიზუალური ეფექტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დამზადდეს ყველა ნოტარიუსისთვის კედლიდან გამოწეული აბრა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ თუკი არ გაიცემა ნებართვა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, იმ სანოტარო ბიუროებისთვის ნოტარიუსთა პალატა დაამზადებს კედელზე მისადგმელ აბრებს. გამომდინარე აღნიშნულიდან, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შპს "ფავორიტ ედვერთისმენთ-თან" ხელშეკრულების დადება. სარეკლამო კომპანიის წინასწარი შემოთავაზებების შესაბამისად, გამოწეული აბრის ღირებულება შეადგენს - 270 (ორასსამოცდაათი) ლარს, რომლის მონტაჟიც შეადგენს 30 ლარს. კედლის აბრის ღირებულებაა 30 (ოცდაათი) ლარია, ხოლო, მონტაჟი 10 ლარი. მიმართულების მიმანიშნებელი აბრის ღირებულება კედელზე მისამაგრებელი 20 (ოცი) ლარი, მონტაჟი 10 ლარი. ხოლო, კედლიდან გამოწეული 120 (ას ოცი) ლარი, მონტაჟი 30 ლარი. მითითებული თანხები შესაძლებელია იქნეს კორექტირებული, გამომდინარე აბრის დიზაინის, მასალის და სხვა ამასთან დაკავშირებული საკითხების ცვლილების შემთხვევაში. მიმართულების აბრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია, დამზადდეს კედელზე მისამაგრებელი აბრის სახით. საჭიროების შემთხვევაში, შპს "ფავორიტ ედვერთისმენთი" წინასწარ მოახდენს რაიონებში განთავსებული ბიუროების გარე ფასადების დათვალიერებას შესაბამისი სამსახურებიდან თანხმობის მიღების მიზნით, რომლის ხარჯებიც გათვალისწინებულ იქნება ხელშეკრულებაში. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შპს "ფავორიტ ედვერთისმენთთან" კონკრეტულ პირობებზე შეთანხმება აბრების დამზადების, მათი მონტაჟის, შესაბამისი ადგმინისტრაციული ორგანოებიდან თანხმობის მიღებისა და სხვა დეტალებთან დაკავშირებით. ასევე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შპს "ფავორიტ ედვერთისმენთთან" ხელშეკრულების დადება სანოტარო ბიუროებისათვის ფირნიშების (აბრების) დამზადების მიზნით.

დაადგინეს: 1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დადგინდეს ერთიანი სანოტარო ფირნიშის (აბრა) ნიმუში (დანართი 1). 2. იმ სანოტარო ბიუროებისათვის, რომელთა გარე ფასადზეც ვერ მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობის მიღება დანართი #1-ით დადგენილი სანოტარო ფირნიშის (აბრის) განთავსების თაობაზე, დადგინდეს სანოტარო ფირნიშის (აბრა) ნიმუში დანართი #2. 3. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული **შპს "ფავორიტ ედვერთისმენთთან" სანოტარო ბიუროებისათვის** ერთიანი სანოტარო ფირნიშების (აბრების) დამზადებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების დადება. 4. დაევალოს პალატის იურიდიულ სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება. 5. ნოტარიუსთა პალატის საფინანსო სამსახურს დაევალოს საბანკო ოპერაციების წარმოება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების შესაბამის ანგარიშზე დარიცხვის მიზნით. 6. აბრების დასამზადებელი ხარჯი გამოყოფილ იქნას პალატის ფონდიდან „საქონელი და მომსახურება". 7. პალატის ლოჯისტიკის სამსახურს დაევალოს აბრების დამზადებისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების წარმოება. 8. ინფორმაცია სანოტარო ბიუროს აბრების მონტაჟის თაობაზე განთავსდეს პალატის ვებგვერდზე არსებულ ბანერში „ინფორმაცია ნოტარიუსებისთვის".

ლალი გზირ. – 240 ლარი + 30 ლარი მონტ.
ვერტ. ხარ. – 20 ლარი
ასანთო ყუთის ფორმის – 30 ლარი
+ მონტაჟი – 9100 ლარი


სანოტარო
ბიურო
ICI-PARIS


სანოტარო ბიურო
NOTARY BUREAU


← 200მ
საქართველოს
ნოტარიუსთა
პალატა

საჯარო რეესტრი
NOTARY BUREAU


სანოტარო ბიურო
NOTARY BUREAU
0002

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ბრძანება №137

KA010165330105316

თბილისი

03 / აგვისტო / 2016 წ.

მაკა შარაბიძის ნოტარიუსად დანიშვნის შესახებ

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს **მაკა შარაბიძე** (დაბ. 04.11.1986 წ.; პირადი №20001021776) 2016 წლის 15 აგვისტოდან ნოტარიუსად ქ. წალკაში.

2. საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ნოტარიუსობის კანდიდატის შესარჩევი კომისიის 2016 წლის 28 ივლისის სხდომის დამატებითი ოქმი №1 (02.08.2016)

მინისტრი თეა წულუკიანი

საიჯარო ხელშეკრულება

24.07.2019წ

ქ. თბილისი

ერთის მხრივ „მეიჯარე" ბადრი ბადრიძე (პირადი № 01011015749, დაბ. 30.12.1974წ. დაბ. ადგილი: თბილისი, მისამართი: თბილისი ქეთევან დედოფლის გამზ. N 20) და მეორეს მხრივ „მოიჯარე" მაკა შარაბიძის (პირადი № 20001021776, დაბ. 04.11.1986წ. დაბ. ადგილი: თბილისი, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, თოლეწყის ქუჩა, N 47) წარმომადგენელი (რწმუნებულება/მინდობილობა დამოწმებული ნოტარიუს იუნონა კალათოზიდის მიერ 22.07.2019წ. რ/ნ 190857953) ზაალი ზაქარაშვილი (პირადი № 60001078116, დაბ. 07.05.1988წ. დაბ. ადგილი: ქუთაისი, მისამართი: ვანი ს. დიხაშხო დავით დვალიშვილის ქ. N 28)

ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე იღებს ვალდებულებას გადასცეს მოიჯარეს ამ ხელშეკრულების პუნქტ 1.2-ში მითითებული ქონება დროებით სარგებლობაში, ხოლო მოიჯარე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მეიჯარეს საიჯარო ქირა იმ ვადაში და იმ ოდენობით, რაც მითითებულია ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტში.

1.2. მეიჯარე იღებს ვალდებულებას გადასცეს მოიჯარეს დროებით სარგებლობაში თავისი კუთვნილი უძრავი ნივთი. შემგომში „ქონება" მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ნაეთლული № 9, საკადასტრო კოდი № 01.17.13.050.176.01.02.004, კომერციული ფართი № 4, სართული 1 , ფართი: 39.97 კვ.მ.

1.3. მეიჯარის იჯარის საგნის საკუთრების უფლება დადასტურებულია ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. მიწის (უძრავი ქონების) (საკადასტრო კოდი N01.17.13.050.176.01.02.004 განცხადების რეგისტრაციის N, N 882017236518 - 27/03/2017 16:57:50, მომზადების თარიღი: 29/03/2017 12:35:35)

1.4. ქონება გამოყენებულ უნდა იქნეს სანოტარო ბიუროს ფუნქციონირებისთვის.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მეიჯარე ვალდებულია:

2.1.1. დროულად გადასცეს მოიჯარეს დაქირავებული ქონება; წარუდგინოს ფართზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.1.2. მეიჯარე ვალდებულია იჯარის ვადის ამოწურვამდე ხელი არ შეუშალოს მოიჯარეს ქონების ფლობაში. თავის საკეთილდღეოდ არ გამოიყენოს აღნიშნული ქონება.

2.1.3. მეიჯარე ვალდებულია და აცხადებს თანხმობას, რომ მეიჯარემ განათავსოს სარეკლამო აბრა/ფირნიში/ლაით ბოქსი საიჯარო ფართის გარე ფასადზე. იგი ვალდებულია გასცეს შესაბამისი დოკუმენტაციები და თანხმობები.

2.1.4. მეიჯარე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საიჯარო ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ ავტოფარეხის შესასვლელზე (შენობაზე) მოიჯარის მიერ სარეკლამო აბრა/შანერი/ლაით ბოქსის

„მეიჯარე"

_____

„მოიჯარე"

_____

განთავსებასთან დაკავშირებით ყველა აუცილებელი მოქმედების თუ ნებართვის აღება(გარდა მერიის მიერ გასაცემი ნებართვისა , რომელსაც უზრუნველყოფს თვითონ მოიჯარე).

2.2. მოიჯარე ვალდებულია:

2.2.1. გამოიყენოს ქონება ამ ხელშეკრულებაში მითითებული პირობებისა და მიზნების შესაბამისად. შეიტანოს გარკვეული ნივთები, რაც აუცილებელია მისი საქმიანობისათვის. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ ეს ნივთები დააბრუნოს უკან. მოიჯარეს აქვს უფლება მეიჯარის თანხმობის შემთხვევაში სხვა პირებს ქვეიჯარის საფუძველზე გადასცეს სარგებლობაში საიჯარო ქონება.

2.2.2. შინარჩუნოს ქონება გამართულ მდგომარეობაში, მოუაროს მას და დაიცვას უსაფრთხოების წესები, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული ნორმები. რაიმეს დაზიანების შემთხვევაში აღმოფხვრას მიყენებული ზიანი. ნება მისცეს მეიჯარეს ოჯარის პერიოდში დაათვალიეროს ფართის მდგომარეობა. მოიჯარეს არ აქვს უფლება გადააკეთოს, გაყოს და ა.შ საიჯარო ქონება მეიჯარისაგან დამოუკიდებლად და მისი ნებართვის გარეშე.

2.2.3. გასწიოს ხარჯები ქონების შენახვაზე. უზრუნველყოს ფართზე კომუნალური გადასახადების: დენის, წყლის, გაზის, დასუფთავების საფასურის გადახდა.

2.2.4. ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად აწარმოოს საიჯარო გადასახადის ანგარიშსწორება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2.2.5. ხელშეკულების მოქმედების ვადის შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნოს ქონება მეიჯარეს ნორმალურ მდგომარეობაში.

3. ქონების გადაცემა და ანგარიშსწორების წესი

3.1. მოიჯარისათვის ქონების გადაცემა მოხდება ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს ორი დღისა.

3.2. საიჯარო ქირა შეადგენს თვეში 150 (ას ორმოცდაათი) დოლარის (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) ექვივალენტს ლარში, გადახდის დროს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

3.3. საიჯარო ქირის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი თვის 15 (თხუთმეტ) რიცხვში, ამ ხელშეკრულების მე-9 პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე. მოიჯარეს დაეკისროს საგადასახადო (საშემოსავლო) გადასახადის გადახდა.

3.4. საიჯარო ქირის გადახდა უნდა დაიწყოს 2019 (ორიათას ცხრამეტი) წლის 15 (თხუთმეტი) აგვისტოდან.

3.5. პირველი ორი თვის (აგვისტოს და სექტემბრის თვის) საიჯარო ქირა მოიჯარემ გადაუხადა მეიჯარეს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების ვადა შეადგენს 5 (ხუთ) წელს. 2019 წლის 24 ივლისიდან და 2024 წლის 24 ივლისის ჩათვლით. ხელშეკულების ვადის ამოწურვის შემდგომ მოიჯარის მიერ დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდეს ერთი წლის ვადით, თუ მეიჯარემ 1 (ერთი) თვით ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე არ აცნობა მოიჯარეს.

5. ფორს-მაჟორული გარემოებანი

5.1. მხარეები თავისუფლებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია რომელიმე მხარის ნებისაგან დამოუკიდებელი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების გამო, როგორიცაა მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა სტიქიური უბედურება.

„მეიჯარე"

„მოიჯარე"

5.2. ფორს მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. ამ წესის დაუცველობა მხარეს არ ათავისუფლებს მასუხისმგებლობისაგან.

5.3.. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს მაჟორული გარემოების დასრულებამდე.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

6.2. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნულის თაობაზე აცნობონ ერთმანეთს მინიმუმ 3 (სამი) თვით ადრე.

6.3. მეიჯარის მხრიდან ამ ხელშეკრულების 2.1.3 და/ან 2.1.4 მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოიჯარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

7. დავის გადაჭრის წესი

7.1. მხრეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოებები უნდა გადაწყდეს ორივე მხარის ურთიერთმოლაპარაკების გზით.

7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება (დავა) გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულები არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს და საქმიან რეპუტაციას.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხ) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა მისამართები

საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

მეიჯარე"	მოიჯარე"
ბადრი ბადრიძე	შკა შარაბიძე
რადი № 01011015749	რადი № 2000021776
სამართი: თბილისი ქეთევან დედოფლის გამზ. N 20	სამართი: ქალაქი თბილისი, თოლუნჯის ქუჩა, N 47
ბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი" GE48LB0711153742992000	

„მეიჯარე"

„მოიჯარე"

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შემავალი №5566
თარიღი 24 იანვარი 2019 წ.
დანართების 3 ცალი გვ. 4